

ერთი ხელშეკრულების ფარგლებში (Design-Build
მეთოდით) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მალრაანში ბავშვთა გასართობი სივრცის
მოწყობისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და
მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების
შესრულების ტექნიკური დავალება

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებს, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით ახმეგის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანში ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობისთვის პროექტის მოსამზადებლად და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის.

მიმწოდებელი (საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი) ვალდებულია მოამზადოს ბავშვთა გასართობი სივრცისთვის საჭირო პროექტი, აწარმოოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ამ მოთხოვნების და სატენდერო პირობების (მასზე ღარტული დოკუმენტების) შესაბამისად. სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი და მიღებული საერთაშორისო სამშენებლო ნორმების და სტანდარტების შესაბამისად. საპროექტო გადაწყვეტები და შესრულებული სამუშაოების ხარისხი უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვთა გასართობის სივრცისთვის საიმედო და უსაფრტხო ფუნქციონირებას მსგავსი შენობა-ნაგებობებისათვის სტანდარტებით განსაზღვრული სრული საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში.

2. ნორმატიული დოკუმენტები

პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედი სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები.

შემსრულებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ტექნიკური დოკუმენტაციის, მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

3. მომსახურების აღწერა და ტექნიკური დავალება.

3.1 პროექტის მოკლე აღწერა

წინამდებარე დავალება მოიცავს ახმეგის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანში ბავშვთა გასართობის სივრცისთვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებას, რომლის თანახმადაც მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის (დამკვეტის) მიერ მიწოდებული ტექნიკური დავალების საფუძველზე მოამზადოს ბავშვთა გასართობი სივრცის სამშენებლო პროექტი და მის საფუძველზე განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები.

შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს მის ხელტ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს ტექნიკური და ფინანსური წინადადების მოსამზადებლად.

3.2 საპროექტო სამუშაოები

მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს შემსყიდველის მირ მიწოდებულ დოკუმენტაციას და მოამზადოს დეტალური სამშენებლო პროექტი.

დეტალური პროექტის დამუშავება გულისხმობს სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება.

3.3 ტექნიკური დავალება

გასაწვეი მომსახურების მოცულობა და ძირითადი მოთხოვნები.

საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი

სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, ასევე ევროსტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

4. ტექნიკური დავალება საპროექტო სამუშაოებზე

1. ბავშვთა გასართობი სივრცისთვის შერჩეული ტერიტორიის მოსწორება;
2. გრუნტის დამუშავება ღობის საძირკვლის მოსაწყობად;
3. ღორღის საფუძვლის მოწყობა ღობის საძირკვლისთვის;
4. ღობის რკ/ბეტონის ლენტურის საძირკვლის და ზესაძირკვლის მოწყობა;
5. ღობის და კუტიკარის მოწყობა/მონტაჟი;
6. ღობის და კუტიკარის შეღებვა ანტიკოროზიული სარეზავით;
7. გრუნტის მოწყობა ბილიკებისთვის და ბორდიურებისთვის;
8. ბეტონის ბორდიურების მოწყობა ბეტონის საფუძველზე;
9. ღორღის საფუძვლის მოწყობა ბილიკებისთვის;
10. ქვიშა-ცემენტის ფენის მოწყობა;
11. ბეტონის დეკორატიული, ვიბროდაწნეხილი ფილების მოწყობა;
12. გრუნტის მომზადება აგრაქციონების, სკამების და ურნების წერტილებისთვის;
13. კაუჩუკის კუნძულების მოწყობა აგრაქციონებთან;
14. ფანჩატურის მონტაჟი;
15. ლამპიონების მონტაჟი (მზის ენერგიაზე);
16. აგრაქციონების (ზუსტი ჩამონათვალი იხ. ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში) მონტაჟი;
17. ტერიტორიის გასუფთავება სამშენებლო ნარჩენებისგან.

მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე უნდა წარმოადგინოს შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის (წარმოდგენილ უნდა იქნეს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი) მიერ მომზადებული საექსპერტო დადებითი დასკვნა.

5. გასაწვეი მომსახურება ორ ეტაპიანია:

I ეტაპი - ესკიზური პროექტის მომზადება და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შედგენა;

II ეტაპი - სივრცის მოწყობა-მონტაჟის სამუშაოები.

5.1. I ეტაპზე განსახორციელებელი სამუშაოები ითვალისწინებს ესკიზური პროექტის მომზადებას:

დამკვეთის შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ესკიზური პროექტის მომზადება. ესკიზური პროექტის საფუძველზე, მიმწოდებელი მოამზადებს დეტალურ სამუშაო საპროექტო დოკუმენტაციას. კერძოდ, შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა: არქიტექტურული პროექტი; კონსტრუქციული პროექტი; ვერტიკალური გეგმარება; ტერიტორიის შემოღობვის პროექტი; ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი; მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, კალენდარული და ფინანსური გეგმა გრაფიკით და სხვა სახის კანონით დადგენილი დოკუმენტი, რაც ახმედის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურთან იქნება შეთანხმებული პროექტის დამტკიცებისთვის.

5.2. II ეტაპზე განსახორციელებელი სამუშაოები

ჩართულ მხარეებთან და დამკვეთთან შეთანხმებული დეტალური პროექტის საფუძველზე პირველ ეტაპზე განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების წარმოება:

1. ბავშვთა გასართობი სივრცისთვის გერიგორიის დამუშავება, მოსწორება, შემოღობვისთვის საძირკვლის მომზადება;
2. შემოღობვა და მისი ღებვა;
3. სივრცის მოპირკეთება ფილებით/ან სხვა შერჩეული მასალით, ბილიკების დაგეგმვა, კაუჩუკის კუნძულების მოწყობა;
4. აგრაქციონების, სკამების და ურნების მონტაჟი;
5. განათების მონტაჟი;
6. ფანჩატურის მონტაჟი.

სამშენებლო სამუშაოების დრო განისაზღვრება შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

6. სამუშაოების ხანგრძლივობა

- 1.1. პროექტის მომზადების ვადაა 20 დღე;
- 1.2. სამუშაოების განხორციელების ვადაა 80 დღე;

7. მიმწოდებლის შტაბი

მიმწოდებელმა გექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების მაღალ დონეზე შესასრულებლად უნდა უზრუნველყოს, კვალიფიციური კადრების მობილიზება (როგორც ძირითადი სპეციალისტების, ასევე დამხმარე პერსონალის).

8. ზოგადი გექნიკური მოთხოვნები

8.1 მასალები ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს ახალი, უმაღლესი ხარისხის და სათანადო პირობებში მუშაობისთვის შესაფერისი. სამშენებლო მასალები შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან. გემპერატურისა და წნევის ცვლილების დროს გამოყენებულმა მასალებმა არ უნდა განიცადოს დეფორმაცია და არ უნდა დამახინჯდნენ, ასევე არ უნდა იქონიონ გავლენა ნაგებობის უსაფრთხოებაზე, ეფექტურობასა და საიმედოობაზე, ასევე უნდა უზრუნველყონ მაქსიმალური ენერგოეფექტურობა. ყველა მასალა უნდა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ თანამედროვე სტანდარტებს. გამოყენებული ნორმები, ანალიზის მუსკი მონაცემები, მასალის სპეციფიკაციები, ქიმიური და მექანიკური დამუშავების პროცესები წინასწარ უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.

უსაფრთხოება სამშენებლო სამუშაოების პროცესში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

8.2 აღჭურვილობის გარანტია მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი გამოყენებული გექნიკა თუ აღჭურვილობა არ გამოვა მწყობრიდან მითითებული საგარანტიო ვადის გასვლამდე (ამ გექნიკის თუ აღჭურვილობის სწორი ექსპლუატაციის პირობით). დამკვეთი უფლებამოსილია უარი თქვას ნებისმიერ გექნიკასა თუ აღჭურვილობაზე თუ ის არ შეესაბამება მოთხოვნილ ნორმებს.

8.3 სტანდარტები და ნორმები სამუშაო პროცესები უნდა განხორციელდეს თანამედროვე სამშენებლო სტანდარტების, რეგულაციების და ნორმების შესაბამისად. გამოყენებული სამშენებლო სტანდარტები, ნორმები თუ რეგულაციები, რომლებიც მოცემულ დავალებაში არ არის გათვალისწინებული უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან. მიმწოდებლის პასუხისმგებლობაა წარუდგინოს დამკვეთს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ შემოთავაზებული სხვა სამშენებლო სტანდარტი (რომელიც არა არის გათვალისწინებული მოცემულ გექნიკურ დავალებაში) უზრუნველყოფს ექვივალენტურ ან უფრო მაღალ ხარისხს. მიმწოდებელმა ყველა წარდგენილ დოკუმენტში დაწვრილებით უნდა მიუთითოს გამოყენებული ყველა სამშენებლო ნორმა, სტანდარტი თუ რეგულაცია.

